

**შინაარსი:** ბევრ რელიგიურ ადამიანს მთელს ქვეყანაზე დაეხმარებოდა, თუ კი ისინი უფრო მეტად იუდეიზმსა და ქრისტიანობაში შემოქმედის მიერ ადამიანის უფლებების ავტორიზირებითა და ღვთის მიერ თავის შექმნილში ადამიანის უფლებების დამკვიდრებით დაკავდებოდნენ, ვიდრე ადამიანის უფლებების სეკულარული, მათთვის საფრთხის შემცველი ხასიათით. როგორც ღმერთის ქმნილება, ისეა მიჩნეული ადამიანის ღირსება და ადამიანის უფლებები ადამიანის არსებაში. აქედან გამომდინარე სახელმწიფო კი არ ქმნის ადამიანის უფლებებს, არამედ ის მხოლოდ აცალიბებს და იცავს მათ. სხვა რელიგიებთან შედარებით ქრისტიანობას ნაკლები პრობლემა აქვს რელიგიებზე მაღლა მდგომი და ამასთანავე სეკულარული ხასიათის მატარებელი ადამიანის უფლებებით.

## **ქრისტიანობა და ადამიანის უფლებები**

თომას შირმახერი

ფილოსოფიისა და თეოლოგიის პროფესორი დოქტორი, ფილოსოფიის დოქტორი, PhD, (DD) (დაბ. 1960 წელს) არის ადამიანთა უფლებების საერთაშორისო საზოგადოების საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტი, ადამიანთა უფლებების ელჩი და საერთაშორისო ევანგელისტური 600 მილიონიანი პროტესტანტისაგან შემდგარი ალიანსის თეოლოგიური კომისიის თავმჯდომარე. ის არის მარტინ ბუცერის სემინარიის (ბონი, ციურიხი, ლინცი, პრაღა, ისტანბული, საო პაულო) რექტორი, ასევე რელიგიის თავისუფლების საერთაშორისო ინსტიტუტის (ბონი, ვაჰშტატი, კოლუმბო) დირექტორი და რუმინეთში ტიმისუარას დასავლეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რელიგიის სოციოლოგიის პროფესორი. მისი უახლესი პუბლიკაციებია კორუფცია (2014), ჩაგრული ქალები (2013), ადამიანის უფლებები (2012), ფუნდამენტალიზმი (2010), რასიზმი (2009), ჰიტლერის ომის რელიგია (2007) და მულტიკულტურული საზოგადოება (2007) მისი წიგნებია თარგმნილია თვრამეტ ენაზე.

### **1. ადამიანის უფლებათა ისტორიის შესახებ**

#### **შუასაუკუნეები**

ადამიანის უფლებების ისტორიას ბევრი ინგლისური „Magna Charta Liberatum“-ით იწყებს, რომელიც 1215 წლით თარიღდება. თუმცა მხოლოდ მცირე, მაგრამ ქვეშევრდომების ნაწილმა აქ მთავრობასაგან კონკრეტული სამართლებრივად გარანტირებულ თავისუფლებები მიიღო. ცოტა ხნის შემდეგ, შუა საუკუნეების ცნობილი თეოლოგი თომას აქვინელი (1225/1274) ბერძნული ფილოსოფიისა და ქრისტიანული თეოლოგიის ნაზავით ადამიანის ღირსებებს ექპლიციტურად ადამიანის გონიერებითა და თავისუფლებით ასაბუთებდა.

დომინიკანი ბერი ბართლომე დე ლას კასა 1522 წელს, როდესაც ის პერუს ადგილობრივი მოსახლეობის მონობითა და ექსპლუატაციით ჩაგვრას აკრიტიკებდა, ლაპარაკობს „ადამიანის უფლებების პრინციპებზე“.

შინაარსობრივად მას, თვით პაპიც კი ეთანხმებოდა თუმცა კათოლიკმა კოლონიალისტმა მთავრობებმა მაინც თავისი გაიტანეს. აქედან ჩანს, რომ ადამიანის არსებობასთან თავისთავად დაკავშირებული ღირსება და უფლებები, ყველა სახელმწიფოებრიობაზე მაღლა არ დგას.

უნდა დავეთანხმოთ იოსებ პუნტს, რომ ქრისტიანული მოძღვრება შუასაუკუნეებში ზოგად ადამიანის უფლებას იმიტომ არ ცნობდა, რადგან ამის ნაცვლად ისეთი საყოველთაო სამართლიანობა ისწავლებოდა, რომელიც სახელმწიფოზე მაღლა იდგა და რომლისკენაც ყველა საზოგადოებრივი ქმედება იყო მიმართული.<sup>1</sup> სახელმწიფო და ეკლესია ღმერთს და საყოველთაო სამართლიანობას ექვემდებარებოდა და მათით იზომებოდნენ. პირველად ნიკოლო მაკიაველმა (1469-1527) გამოყო სუვერენული სახელმწიფო სამართალი ღმერთის უფლების, უფრო სწორად ბუნებრივი უფლების<sup>2</sup> კავშირიდან და განაცხადა, რომ სახელმწიფო თვითონაა უმაღლესი კანონმდებელი და ხელისუფალი და არავის უნდა ექვემდებარებოდესო.

გერჰარდ რიტერიც მსგავს პოზიციას იზიარებს. ის აცხადებს „შუასაუკუნეების სქოლასტიკის ქრისტიანული ბუნებრივი უფლების ისტორიული მნიშვნელობა უპირველესად იმაში მდგომარეობს, რომ ეს ზნეობრივ ნორმას, სახელმწიფოზე მაღლა მდგომი მარადიული კანონმდებლობის წყობის იდეას, განიხილავს - სამართლიანობისა და მშვიდობის იდეას, რომელსაც ყველა მიწიერი ხელისუფალი უნდა ემსახურებოდეს“.<sup>3</sup>

### **რეფორმაციის „გერები“**

მ ე-17 საუკუნის შუა წლებში რადიკალური პროტესტანტული ფრაქცია ინგლისში აყენებს პირველად რელიგიის თავისუფლების, სინდისის თავისუფლების. პრესის თავისუფლებისა და მამაკაცების საყოველთაო საარჩევნო უფლებებს მოთხოვნებს. მიხეილ ფარისმა ამასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატებში რელიგიის თავისუფლების ადრეული წყაროების დიდი კვლევა წარმოადგინა, მათ შორის უამრავი ქადაგება და ტრაქტატი.<sup>4</sup> მას შემდეგ რაც კალვინის ყოფილი მოწაფე სებასტიან კასტელი 1554 წელს იმ დროისათვის ჯერ ჯიდეგ უმნიშვარი რელიგიის თავისუფლებისათვის იან კალვინის წინააღმდეგ გამოვიდა, ინგლისელმა ბაფტისტმა თომას ჰელვისმა<sup>5</sup> (1550-1616) 1611 წელს შეადგინა პირველი ტრაქტატი, რომელიც რელიგიის სრულ თავისუფლებას მოითხოვს. მას მოჰყვა ინგლისელი ბაპტისტის ლეონარდ ბუსჰერის ტრაქტატი 1614 წელს <sup>6</sup> ბაპტისტმა და სპირიტუალისტმა როგერ ვილიამსმა (1604-

<sup>1</sup> იოსებ პუნტი. ადამიანის უფლებების იდეები: მათი ისტორიული განვითარება და მათი რეცეფცია თანამედროვე კათოლიკური სოციალური მცნებით. სოციალური ეთიკის დისკურსი 29. Schönigh: Paderborn, 1987. გვ. 33-36.

<sup>2</sup> ასევე. გვ. 70.

<sup>3</sup> გერჰარდ რიტერი. „Ursprung und Wesen der Menschenrechte“ (1958). გვ. 202-237 in: Roman Schnur (Hg.). Zur Geschichte der Erklärung der Menschenrechte. Wege der Forschung 11. Wissenschaftliche Buchgesellschaft: Darmstadt, 1964. გვ. 205; ასევე შეადარეთ Eberhard Schockenhoff. Naturrecht und Menschenwürde: Universale Ethik in einer geschichtlichen Welt. Matthias Grünewald: Mainz, 1996.

<sup>4</sup> Michael Farris From Tyndale to Madison. Nashville (TN): B & H, 2007.

<sup>5</sup> Thomas Helwys. A Short Declaration of the Mystery of Iniquity. London: o. V., 1611, reprint: London: Kingsgate Press, 1935.

<sup>6</sup> Leonard Busher. Religious Peace. Amsterdam: o. V., 1614, London: Sweeting, 1644.

1685), რომელიც 1639 წელს კონგრეგაციული სტრუქტურის პირველი ამერიკული ბატელისტური ჯგუფის თანადამაარსებელია (ყველა წევრი თანასწორია და ირჩევს ხელმძღვანელობას და პასტორს), მოითხოვდა რელიგიის სრულ თავისუფლებას<sup>7</sup> 1644 წელს. მისი 1647 წლის როდ აილენდის პირველი კონსტიტუცია აკანონებდა როგორც ეკლესიისა და სახელმწიფოს სრულ გაყოფას, ასევე რელიგიის თავისუფლებასა და ადამიანის უფლებებს ებრაელებისა და ათეისტებისვისაც კი.

ევანგელისტი თეოლოგი და რელიგიის ფილოსოფოსი ერნსტ ტროელჩი<sup>8</sup> იზიარებდა მოსაზრებას, რომ ადამიანის უფლებები ეტაბლირებული პროტესტანტული ეკლესიის დამსახურება კი არა, არამედ ამერიკაში განდევნილი თავისუფალი ეკლესიების, სექტების და სპირიტუალისტების - პურიტანებით დაწყებული და ქუეკერებით დამთავრებული - მიღწევაა. აქ რეფორმაციის „გერებმა“ ბოლოს და ბოლოს შეასრულეს თავისი ისტორიული მისია<sup>9</sup>. ღრმად მორწმუნე მენინავე მებრძოლების ვილიამისა და პენის მიერ მიღწეული რელიგიისა და სინდისის თავისუფლება და ეკლესიისა და სახელმწიფოს გაყოფა, ასევე პურიტანელებისა და სხვა რეფორმატორების მიერ შემუშავებული კონსტიტუციური სახელმწიფო კონცეფცია (თავიდან რელიგიის თავისუფლების გარეშე) და განმანათლებელი და დეისტური პოლიტიკოსების მიერ განხორციელებული ტერიტორიული სახელმწიფოების დემოკრატია გაერთიანდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლებმაც არსებული რელაგიური პრინციპები სეკულარულ სამართალის სფეროში დადაიტანეს. ამის ერთ-ერთი მაგალითია ჯონ ლოკი (1632-1704), პურიტანისტული განმანათლებელი ფილოსოფოსი.<sup>10</sup> ერთმანეთის გვერდით ქრისტიანობისა და განმანათლებლობის თანაარსებობით დემოკრატის დამკვიდრება ამერიკასა და ევროპაში განსხვავებულად მიმდინარეობდა. როცა ამერიკაში დემოკრატის დამკვიდრების პროცესი უმტკივნეულოდ მიმდინარეობდა, ევროპაში ამას უამრავი ძალადობრივი და სისხლიანი დაპირისპირება ახლდა თან.

## 2. ადამიანის უფლებების დასასაბუთებლად

დასაბუთების ნაკლებობა

„ადამიანის უფლებები არის მარადიული, უცვლელი და ვრცელდება ყველგან“<sup>11</sup>. პასუხია „ამინ“, რადგან რელიგიურ ციტატას რელიგიურ ენაზემევე უნდა უპასუხო. „ადამიანის უფლება როგორც ბუნებრივი უფლება სახელმწიფოზე მაღლა დგას“<sup>12</sup>. ესეც რელიგიული

<sup>7</sup> Roger Williams. The bloody tenent, for cause of conscience. London: o. O., 1644, ders. The bloody tenent yet more bloody. London: o. O., 1652; ders. Christenings make not Christians. London: o. O., 1645.

<sup>8</sup> ასევე Friedrich Wilhelm Graf. „Puritanische Sektenfreiheit versus lutherische Volkskirche: Zum Einfluss Georg Jellineks auf religionsdiagnostische Deutungsmuster Max Webers und Ernst Troeltschs“. უახლესი თეოლოგიური ისტორიის ჟურნალი 9 (2002): 42–69.

<sup>9</sup> Ernst Troeltsch. Die Bedeutung des Protestantismus für die Entstehung der modernen Welt. München/Berlin: Oldenbourg, 1911. გვ. 62.

<sup>10</sup> ასევე. გვ. 63, მთლიანად გვ. 57-65.

<sup>11</sup> Christine Schulz-Reich. Nachgefragt: Menschenrechte und Demokratie. Bindlach: Loewe, 2008. გვ. 15.

<sup>12</sup> ასევე. გვ. 21.

ენაა, მეტაფორულად მაინც, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ბუნებრივი უფლება დღეს ყველგან დრომოჭმულად ითვლება.

მაგრამ ვინც ასეთ ენას უარყოფს, ავინყდება რომ სახელმწიფოზე მაღლა მდგომი, ყველასათვის სავალდებულო ნორმების არსებობა დასაბუთებულიც უნდა იყოს. რეალობაში ამაზე ან საერთოდ ამბობენ უარს, დასაბუთება მყარი არ არის ან ეს დასაბუთება მხოლოდ კონკრეტულ რელიგიებზე ან მსოფლმხედველობაზე ვრცელდება.

ამის შედეგია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დეკლარაციის<sup>13</sup> წარმოდგენილად დიდი „დასაბუთების ნაკლებობა“. არსად გვხვდება ადამიანის უფლებების ისეთი დასაბუთება, რომლებიც შესაბამისად საყოველთაოდ აღიარებულია. „ბუნებაში არ ყოფილა საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების თეორია. ეს ზოგადად ნათელი და გასაგებია“.<sup>14</sup> მაგრამ თუ კი ადამიანთა უფლებების კატალოგის უკუკავშირი არცერთ მაღალ ინსტანციაში მოიძებნება, მაშინ ადამიანთა უფლებები მხოლოდ კენჭის ყრის შედეგია და იმდენ ხანს იქნება ძალაში, ვიდრე მათ ხმას მისცემენ. ადამიანის ღირსებაც, რომელიც ადამიანის უფლებების იდეას უდევს საფუძვლად, კურიოზულად ნაკლებად ნათელი და საყოველთაოდ აღიარებულ დასაბუთებას მოკლებულია, მაგრამ ამავედროულად მსოფლიო ისტირიის ყველაზე მეტად გავლენიანი იდეაა.

ადამიანების უფლებები ერთი მხრივ არა მხოლოდ სახელმწიფოებზე მაღლა, არამედ ყველა რელიგიასა და მსოფლმხედველობაზე მაღლა უნდა იდგეს, თორემ ისინი ვერ იფუნქციონირებენ. არც ქრისტიანულმა ეკლესიებმა უნდა ჩათვალონ ადამიანის უფლებები თავიანთ დამსახურებად. რადგან მათი დამკვიდრება ყოველთვის არ ხერხდებოდა ეკლესიებთან ერთად, როგორც ეს ამერიკაში, არამედ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლითაც. ამის მაგალითად საფრანგეთი შეგვიძლია მოვიყვანოთ. რამდენადაც ქრისტიანმა თეოლოგმა და რელიგიის სოციოლოგმა ადამიანის უფლებების ქრისტიანული დასაბუთება მრავალჯერ წარმოვადგინე<sup>15</sup> და ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ისტორიულად ადამიანის უფლების იდეის ელემენტები, თუნდაც ხშირად სეკულარიზირებული ხასიათის, ებრაულ-ქრისტიანული ტრადიციებიდან მოდის, და ამასთანავე ადამიანის უფლებათა დასაბუთების ნაკლებობას ყოველთვის ხაზს ვუსვამ, მაგრამ მაინც ითვლება, რომ:

1. არ შეიძლება ვინმეს ინტერესი ჰქონდეს, რომ ადამიანებმა უარი თქვან საკუთარ რელიგიასა და მსოფლმხედველობაზე და ამით ადამიანის უფლებებზე (რადგან ისინი ქრისტიანულად არიან დასაბუთებული).
2. პრაგმატიკაში ზოგადად ადამიანური გრძნობიდან გამომდინარე ადამიანის უფლებებზე მოწოდებით და ადამიანის უფლებების პრაქტიკის სულ უფრო მეტი

<sup>13</sup> Josef Punt. Die Idee der Menschenrechte. a. a. O. გვ 222, შედ. 222-226.

<sup>14</sup>Volker Gerhardt in: Hauke Brunkhorst, Wolfgang R. Köhler, Matthias Lutz-Bachmann (Hg.). Recht auf Menschenrechte. Frankfurt: Suhrkamp, 1999. გვ. 43.

<sup>15</sup> მაგალითად Thomas Schirrmacher. Ethik. Bd. 6. Nürnberg: VTR, 2011-5. S. 9-172; ders. Menschenrechte. SCM Hänssler: Holzgerlingen, 2012.

დადებითი გამოცდილება არა არის ყველაზე უარესი, თუ ის ადამიანისათვის ღირსეული ცხოვრების საშუალებას იძლევა.

3. და ბოლოს: მე მირჩევნია, რომ ადამიანის უფლებებს მიესაღწეო, მათ იცავდე, და ზუსტად არ იცოდე რატომ, ვიდრე ის რომ კონკრეტულ დასაბუთებაზე უარის თქმას იქამდე მიჰყავდე, გამართლებულად ჩათვალო ადამიანის უფლებათა დარღვევა.

### **შემოქმედს სურს ადამიანის უფლებები**

ბევრ რელიგიურ ადამიანს მთელს ქვეყანაზე დაეხმარებოდა, თუკი ისინი უფრო მეტად იუდეიზმსა და ქრისტიანობაში შემოქმედის მიერ ადამიანის უფლებების ავტორიზირებითა და ღვთის მიერ თავის შექმნილში ადამიანის უფლებების დამკვიდრებით დაკავდებოდნენ, ვიდრე ადამიანის უფლებების სეკულარული, მათთვის საფრთხის შემცველი ხასიათით.

ამერიკის 1776 წლის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ვკითხულობთ: „შემდეგ სინამდვილეებს მივიჩნევთ ჩვენ ჩვეულებრივად: რომ ადამიანები შექმნილი არიან, როგორც თანასწორი არსებანი, რომ მათ ღმერთმა მიანიჭა გარკვეული ხელშეუვალი უფლებები, როგორცაა სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ ლტოლვა, რომ ამ უფლებათა განსამტკიცებლად იქმნებიან მთავრობები, რომლებიც თავიანთ კანონიერ ძალაუფლებას ღებულობენ იმათი თანხმობით, ვისაც ისინი განაგებენ...“

1977 წლის „Bill of Rights“ 1 და მე-16: მუხლში ვკითხულობთ: „ყველა ადამიანი ბუნებით თანაბრად თავისუფალი და დამოუკიდებელია და აქვს გარკვეული თანდაყოლილი უფლებები, რომლებიც მათ თავიანთ შთამომავლობას არავითარი პოლიტიკური გაერთიანების შექმნით ან სხვა გარიგებით არ უნდა წაართვან“. რელიგია თუ მორჩილება, რისთვისაც ჩვენ ჩვენს შემოქმედთან ვალში ვართ, და ფორმა, როგორ ვასრულებთ ჩვენ მას, შეიძლება საბოლოოდ რწმენითა და გონიერებით განისაზღვროს და არა ძალდატანებით ან ძალადობით. ამიტომაც აქვს ყველა ადამიანს ერთი და იგივე უფლება სინდისის მცნებების რელიგიის მისდევნაზე. და ყველა მოვალეა, ქრისტიანული მიმტევებლობით, სიყვარულით და დიდსულოვნებით იმოქმედოს“.

კათოლიკური ეკლესია ადამიანის უფლებებს ერთის მხრივ ეკლესიისადმი მტრულად განწყობილი განმანათლებლობის წმინდა პროდუქტად მიიჩნევდა, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ეს მას ხელს აძლევდა, თანხმდებოდა მის შემოღებას ყველგან. მაგრამ კათოლიკური ეკლესია მაინც ხედავდა კონფლიქტს რწმენასა და ადამიანის უფლებებს შორის. რუსეთში ადამიანის უფლებებს შანსი მხოლოდ მაშინ ეძლევათ, როცა რუსული ორთოდოქსული ეკლესია მათ თავის ხორცეულ საქმედ აქცევს. ამათგან განსხვავებით დიდი პროტესტანტული ეკლესიები ამერიკის შეერთებულ შტატებში ადამიანის უფლებებს, როგორც თავიანთი ქრისტიანული ეთიკის მოდელს ისე ხედავდა. 1948 წელს ამსტერდამში ეკლესიების ოკუმენისტური საბჭოს დაარსების დროს ადამიანის უფლებები იყო ევანგელიკანელების წარმომადგენლობისათვის და ასევე საერთაშორისო ევანგელისტური ალიანსისათვის ცენტრალური შემადგენილი ნაწილი. გასაკვირი არ არის, რომ დიდი ხნის მანძილზე ისე ჩანდა, თითქოს პროტესტანტული ქვეყნები დემოკრატიისათვის განსაკუთრებით იდეალური ყოფილიყვნენ.

მაგრამ მას შემდეგ, რაც 1965 წელს ვატიკანის მეორე კონსილიუმზე, რომელსაც დასაბამი პაპის 1892 წლის ენციკლიკამ „Rerum Novarum“ მისცა, მიღებული იქნა დეკლარაცია რელიგიური თავისუფლების შესახებ „Dignitatis Humanae“ და ამავდროულად პაპის ენციკლიკა „Pacem in Terris“ რომელმაც ადამიანის უფლებები ეკლესიურ რწმენასთან შეარიგა და ისინი სულ უფრო და უფრო პაპის დაქვემდებარებაში გადადიოდა, პრაქტიკულად ყველა კათოლიკურმა ქვეყანამ თანდათანობით გაითავისა დემოკრატია და ადამიანის უფლებები.

## ქრისტიანული ფესვები?

იმას რომ ადამიანის უფლებებს, როგორც ადამიანის დამცავ უფლებებს ქრისტიანული ფესვები აქვს, ყოველთვის იზიარებდნენ.<sup>16</sup> როგორც ვოლფგანგ ფიკენჩერი აცხადებს „არ შეიძლება ეჭვი შეგეპაროს იმაში, რომ ადამიანების უფლებები, ისე როგორც ჩვენ დღეს ის გვესმის, ქრისტიანული წარმოშობისაა, მიუხედავად პოლიტიკურად ლაბილური ტრაგიკული წინარე ისტორიისაა.<sup>17</sup>

გეორგ ჯელინკი 1789 წელს ადამიანის, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების<sup>18</sup> წინარე ისტორიის შესახებ თავის პროგრესული კვლევებში იზიარებს პოზიციას, რომ თანამედროვე ადამიანის უფლებები იმ ადრეული ამერიკული სახელმწიფოების კონსტიტუციებიდან წარმოიშვა, სადაც კალვინიზმს და ქრისტიანობას დიდი გავლენა ჰქონდა. და რომ ადამიანის უფლებები რელიგიისა და სინდისის თავისუფლების უფლებიდან განვითარდა და რეფორმაციიდან მოყოლებული თანდათანობით დამკვიდრდა. ამ თეზის შესახებ დღესაც არ წყდება დისკუსია, თუმცა მას დღემდე როგორც მომხრეების, ასევე მოწინააღმდეგეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა ჰყავს.

ამით არ შეიძლება ითქვას რომ თითქოს ქრისტიანობამ ისტორიულად ადამიანის უფლებებს სხვაზე მეტად გამორჩეულად გაუწია ანგარიში და დაამკვიდრა ისინი ან რომ თითქოს იესოდან წამოსული ადამიანის უფლებამდე მიმავალი პირდაპირი სწორი გზა არსებობდეს. მაგრამ ქრისტიან შტარკი იურისტების გაზეთში სამართალთან

---

<sup>16</sup> John Warwick Montgomery. *Human Rights & Human Dignity*. Edmonton: Canadian Institute for Law, Theology, and Public, 1995<sup>2</sup>; zahlreiche Aufsätze in Ernst-Wolfgang Böckenförde, Robert Spaemann. *Menschenrechte und Menschenwürde*. Stuttgart: Klett-Cotta, 1987.

<sup>17</sup> Wolfgang Fikentscher *ib.* გვ. 58

<sup>18</sup> Georg Jellinek. „Die Erklärung der Menschen- und Bürgerrechte: Ein Beitrag zur modernen Verfassungsgeschichte“. Duncker & Humblot: Leipzig, 1895<sup>1</sup>, 1904<sup>2</sup>, 1919<sup>3</sup>, *ib.*: München, 1927<sup>4</sup>, Am leichtesten zugänglich in Georg Jellinek. „Die Erklärung der Menschen- und Bürgerrechte“. გვ. 1-77 in: Roman Schnur (Hg.). *Zur Geschichte der Erklärung der Menschenrechte. Wege der Forschung 11*. Wissenschaftliche Buchgesellschaft: Darmstadt, 1964.

დაკავშირებით წერს: ქრისტიანული ეკლესიების შეცდომები ადამიანის უფლებების მიმართ. არ ეწინააღმდეგება ადამიანის ღირსების წარმომავლობას ქრისტიანობიდან<sup>19</sup>.

და სხვა რელიგიებთან შედარებით ქრისტიანობას ნევლები პრობლემა აქვს რელიგიებზე მაღლა მდგომი და ამასთანავე სეკულარული ხასიათის მატარებელი ადამიანის უფლებებით.

### 3. ადამიანის უფლებების ქრისტიანული დასაბუთება

#### ადამიანის ღირსება და შემოქმედთან მსგავსება

ადამიანის უფლების ქრისტიანული ბაზისი<sup>20</sup> უპირველესად არის: ადამიანი და კერძოდ ყველა ადამიანი, და არა მარტო ქრისტიანი, არის შემოქმედის ქმნილება და ღვთის ხატი და მსგავსი და აქედან გამომდინარე მათ აქვთ წარმოუდგენელი ღირსება, რომელიც ყველაფერზე მაღლა დგას. ეს ღირსება არაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს თითოეულ ადამიანს ღმერთთან და არც იმაზე, ქრისტიანია თუ არა ადამიანი. სამხრეთ აფრიკის მთავარეპისკოპოსი დესმონდ ტუტი წერს: „ეს არის ერთიანობის ჩანაფიქრის ბაზისი ბიბლიაში: ყველაფერი ეკუთვნის ღმერთს. და მის წინაშე ყველა ადამიანი თანაბარია. ეს გამაბრუებელი გამონათქვამია. არცერთი პოლიტიკური იდეოლოგია შეიძლება იყოს ამაზე მეტად რადიკალური“.<sup>21</sup>

ადამიანის უფლებების იდეას საფუძვლად უდევს ის მოთხოვნა, რომ ყველა ადამიანს უფლება აქვს, მოეპყრან ადამიანურად განურჩევლად თავისი რასის, რელიგიის, სქესის, პოლიტიკის თუ სოციალური და ეკონომიური სტატუსისა. და რით არის ადამიანის მსგავსება დასაბუთებული, თუ არა იმით, რომ ღმერთმა ყველა ადამიანი ერთმანეთის მსგავსად შექმნა? ამიტომ ყოველი ქრისტიანული დასაბუთება ბიბლიის პირველი ორი თავით იწყება, სადაც ვკითხულობთ: „და თქვა ღმერთმა: შევქმნათ კაცი ჩვენი ხატისაებრ

<sup>19</sup> იხ. გვ. 460 (სხვა ლიტერატურასთან ერთად).

<sup>20</sup> ამისათვის შეადარეთ შემდეგი კონცეპტები: Thomas K. Johnson. Human Rights: A Christian Primer. VKW, 2008; Christoph Link. „Der Einfluss christlicher Werte auf die deutsche Verfassungsordnung“. გვ. 95-104 in: Ingo Resch (Hg.). Mehr als man glaubt: Christliche Fundamente in Recht, Wirtschaft und Gesellschaft. Gräffelfing: Resch, 2000; George Newlands. Christ and Human Rights. Theology and Religion in Interdisciplinary Series 1. Aldershot: Ashgate, 2006; John Nurser. For All Peoples and All Nations: Christian Churches and Human Rights. Georgetown: Georgetown University Press, 2005; John Warwick Montgomery. Human Rights and Human Dignity. a. a. O.; Helmut Thielicke. Theologische Ethik. 2. ტომი. 2. ნაწილი: Ethik des Politischen. J. C. B. Mohr: Tübingen, 1958<sup>1</sup>. გვ. 82-85; Jürgen Moltmann. "Christlicher Glaube und Menschenrechte" გვ. 15-35 in: Eckehart Lorenz. '... erkämpft das Menschenrecht' Wie christlich sind die Menschenrechte? Lutherisches Verlagshaus: Hamburg, 1981 (შედ. მთელი წიგნი); Desmond D. Tutu. "Religiöse Menschenrechte in der Bibel". Gewissen und Freiheit 23 (1996) Nr. 46/47: 36-42;.

<sup>21</sup> Desmond D. Tutu. „Religiöse Menschenrechte in der Bibel“. Gewissen und Freiheit 23 (1996) Nr. 46/47: 36-42, აქ გვ. 41.

და მსგავსებისაებრ“ და შექმნა ღმერთმა კაცი, ღვთის ხატისაებრ შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“ (ნემტთა 1,26-27).

ადამიანის ღირსება და ადამიანის უფლებები ადამიანის არსებაში ღმერთის ქმნილებად მიიჩნევა. ამის გამო სახელმწიფო კი ვერ ქმნის ადამიანის უფლებებს, ის მხოლოდ აყალიბებს და იცავს მათ. მაგალითად სიცოცხლის უფლებას ადამიანი სახელმწიფოდან კი არ იღებს, არამედ ეს მას თავისთავად გააჩნია. და სახელმწიფოს არ აქვს უფლება ხელაღებით წაართვას თავის მოქალაქეებს სიცოცხლის უფლება და განუკითხავად დახოცოს ისინი.

ეს რომ ასე არ იყოს, ადამიანი თავის უფლებებს უპირველესად სახელმწიფოდან მიიღებდა. მაშინ ადამიანს ექნებოდა მხოლოდ უფლებები და პრეტენზია დაცვაზე, რასაც ის ამა თუ იმ სახელმწიფოდან მიიღებდა. ეს იყო სოციალისტური სახელმწიფოებს მსოფლმხედველობა. აქ სახელმწიფოს უზენაესი ზეციური ძალა ვერ გააკრიტიკებს ან შეცვლის, რადგან სახელმწიფო თავად გახდა ღმერთი.

იურგენ მოლტმანმა სხვადასხვა ქრისტიანულ კონფესიებში არსებული ადამიანი უფლებათა დასაბუთება ერთმანეთს შეადარა.<sup>22</sup> კათოლიკური და რეფორმირებული თეოლოგია ადამიანის უფლებებს ადამიანების ღმერთთან მსგავსებით ასაბუთებს, ლუთერანული თეოლოგია კი ადამიანის უფლებებს სეკულარულ, პოლიტიკურ საქმედ მიიჩნევს და თვლის, რომ ეკლესია ამაში უშუალოდ არ უნდა მონაწილეობდეს. კათოლიკური თეოლოგია გამოდის „ბუნება და მონყალების“-ძირეული პრინციპიდან და ადამიანის უფლებებს აკავშირებს ბუნებრივ უფლებებთან, როცა რეფორმირებული თეოლოგია ცოდვის და მონყალების ძირეულ პრინციპიდან ამოდის და ადამიანის უფლებებს იმით ამყარებს, რომ ადამიანები ბოროტნი არიან და ამიტომ ისინი როგორც ერთმანეთიდან, ასევე ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან უნდა იქნან დაცული. მარტინ კრილი სწორად შენიშნავს, რომ თეორია ადამიანის ბოროტებაზე, იცავს როგორც ბოროტი მასების ანარქიიდან, ასევე ტირანიიდან, ერთეული ბოროტიდან.<sup>23</sup>

## კანონის უზენაესობა

ამას ემატება ის, რომ იუდეობაში და ქრისტიანობაში როგორც ძველი, ასევე ახალი აღთქმით ამქვეყნიური სამყაროზე ფიქრი მთლიანად სამერთლებრივ სტრუქტურებზე ფიქრია. (ამას აღიარებენ მუსლიმანები, ჰინდუისტები და ბუდისტები კი უფრო ნაკლებად). სახელმწიფო არის კანონის ქვეყანა, პოლიტიკური წყობა არის სამართლის წყობა. ის, რასაც ლიბერალური პროტესტანტიზმი თავიდან დასცინოდა, უფრო სწორედ აკრიტიკებდა, რადგან მას ქრისტიანობა კანონმდებლობის გარეშე სურდა, დიდი ხანია უკვე ჩვენს ყოველდღიურობას განსაზღვრავს: მთელი ცხოვრების სიმტკიცეს სამართლი

<sup>22</sup> Jürgen Moltmann. "Christlicher Glaube und Menschenrechte". a. a. O. გვ. 26-31

<sup>23</sup> Martin Kriele. Einführung in die Staatslehre. Westdeutscher Verlag: Opladen, 1994<sup>5</sup>. გვ. 106-112  
მონაკვეთი“ Der Mensch ist böse”.

და კანონმდებლობა განაპირობებს. ყველა ძალაუფლება, სადაც არ უნდა ხორციელდებოდეს ის, სამართალს ეფუძნება. ამ პრინციპით ხელმძღვანელობდნენ უკვე დიდი ხნის წინ ისრაელში, როცა სხვა კულტურები მას ჯერ კიდევ ნაკლებად იცნობდნენ.

ძირითადი საფუძველია ძველ და ახალ აღთქმაში ხშირად გამოყენებული გამონათქვამი, რომ ღმერთი არ ცნობს ადამიანის გარეგნულ სახეს. თუმცა ეს ეკლესიისა და რწმენის სფეროზე ვრცელდება, მაქრამ ასევე უპირველესად სახელმწიფოზე და მის იურისდიქციაზე. მსაჯულებმა დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად უნდა განსაჯონ რა იყო, და არა თვალდებით ან საკუთარი რწმენით. მკვლელობა ვერ იქნება უკეთესი, რადგან მას ქრისტიანი ჩაიდენს. ძველი აღქმა გვასწავლის, რომ მსაჯულებმა არც მდიდარს უნდა მიანიჭოს უპირატესობა და არც ღარიბს, რადგან ის ღარიბია. მსაჯულმა ადამიანის გარეგნული სახის გაუთვალისწინებლად უნდა განსაჯოს. „ნუ სჯით თვალდებით, არამედ სამართალი სასჯელი საჯეთ“.

უკვე ათასწლეულებია ძველ და ახალ აღთქმაში ვხვდებით ადამიანის უფლებას ჭეშმარიტ სასამართლო პროცესზე. იმის გადანყვეტა, თუ რა არის ჭეშმარიტი, შეუძლია მხოლოდ მართალ მსაჯულს. და ღმერთია ჭეშმარიტი მსაჯული. (მაგალითად . რჯლ. 10,17-18; ფსალმ. 7,9+12; 9,5; 50,6; შედ. ფსალმ. 75,3+8), „რადგან უფალი სამართლის ღმერთია“ (ესაია 30,18) „ის სამართლის მცველია“<sup>24</sup>. ვინც ყოველთვის ჭეშმარიტ სამართალს ლაპარაკობს, ღმერთის დავალებით მოქმედებს.(მაგალითად . 2 ნემტ. 19,6-7; გოდ. 3,35-36).

შესაბამისად ადამინისათვის ღირსეულ და სამართლიანი სასამართლო პროცესის უამრავ მაგალტს ვხვდებით ბიბლიაში. საჩივრისათვის საჭირო იყო მაგალითად „ორი ან სამი მოწმე“ (მაგ. რჯლ.17,6; 19,15; მთ.18,16; ებრ.10,28; ტიმოთე 5,19; ასევე რიცხ.35,30; იოანე 8,17).

განაჩენებზე „ადამიანის გარეგნული სახე“ არ უნდა მოქმედებდეს (რჯლ. 1,17; 2ნემტ. 19,7; იგავ. 18,5; 24,23; იობი 13,10; კოლ. 3,25; ეფეს. 6,9), რადგან თავად ღმერთი არ ცნობს მას (მაგ. რჯლ. 10,17-18). მხოლოდ ბოროტი მსაჯულნი „უყურებენ ადამიანის გარეგნულ სახეს“ (ესაია 3,9).

გამოტანილი განაჩენი მიუკერძოებელი და „კლიშეებისაგან“ თავისუფალი უნდა იყოს ” (1ტიმ. 5,21) და ასევე ყველაფერი უნდა იყოს „ზუსტად გამოძიებული“ (რჯლ. 17,4). ეს ნიშნავს: „გამოდის სანდო ჭეშმარიტი [ან: სანდო] განაჩენი“ (ზაქ. 7,9), ე.ი განაჩენი, რომელიც სხვა შემთხვევაში არ გაუქმდება და ყველასათვის მიასაღები იქნება.

### **ფედერალური კონსტიტუცია**

აქედან გამომდინარეობს, რომ ყოველი, როგორ ძველ აღთქმაში უპირველესად მეფე, და დღეს სახელმწიფო, ამ სამართალს ექვემდებარება. ჩვენ ვკითხულობთ, რომ ღმერთმა

<sup>24</sup> Alfred de Quervain. Die Heiligung. Ethik Erster Teil. Evangelischer Verlag: Zollikon (CH), 1946<sup>2</sup>. გვ. 263

წინასწარმეტყველი ნათანი სამართლის სახელით მიავლინა დავითთან, მას შემდეგ რაც დავითმა მოჩვენებითი ლეგალურობით დაძლია ერთი ოფიცერი, რომ მისი ცოლი დაესაკუთრებია. მაშინდელ დროში ეს იყო დიდი ცვლილების მომასწავებელი. ყველაზე დიდი ხელისუფალი არ ემორჩილებოდა სამართალს. ის თვითონ იყო კანონი. ჯერ კიდევ ვილჰელმ II ნიუნბერგის ოქროს წიგნში ჩანს „მე ვარ კანონი“. მამისი ვილჰელმ I კონსტიტუციასთან დაკავშირებით თქვა „არ დავუშვებ ჩემს და ღმერთს შორის ფურცელს“.

ფედერალური რესპუბლიკის კონსტიტუციის იდეა აღებული ძველი აღქმიდან „თორას“ იდეიდან და ის მე-17 საუკუნიდან თანდათანობით სეკულარიზებული სახით მკვიდრდება სამართლის და სახელმწიფოს ენაში (ფედერაციული რესპუბლიკა, შვეიცარიის კავშირი, ფედერაციული კონსტიტუციური სასამართლო). აბსურდულია იმაზე ფიქრი, რომ ქვეყნის უმაღლესი ინსტანცია ფურცელია. ფურცელი არის ნებისყოფიანი, ფურცელს არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა. მხოლოდ ებრაულ-ქრისტიანული ტრადიციებიდან შეიძლება ნათელი მოეფინოს, რომ ეს ფურცელი სამართალს ემსახურება, რომელსაც ყველა ემორჩილება და რომელიც საზოგადოების ერთიანობას ამყარებს და რომ მართლაც არც მეფე, არც კეისარი ან პაპი წარმოადგენენ ბოლო ინსტანციას, არამედ წერილობით მომზადებული სამართალი. ძალაუფლების ავტორიტეტი გადატანილია უმაღლეს სამართალში.

### **რომაელთა მიმართ 13**

ამას ემატება, რომ ბიბლიურ-ქრისტიანული გაგებით სახელმწიფო სამართალს ექვემდებარება. ქრისტიანული ხედვით რომაელთა მიმართ 13-ს საქმე აქვს ადამიანის უფლებებთან, რადგან სახელმწიფო თავის ლეგიტიმურობას იმაზე აფუძნებს, რომ ზრუნავს სამართლიანობისთვის და იბრძვის უსამართლობის წინააღმდეგ. ამიტომ ქრისტიანებს ევალებათ იმართებოდნენ არა ქრისტიანი ხელისუფალიდან. რადგან სახელმწიფო, რაზედაც პავლე მოციქული აქ რომაელთა მიმართ 13-ში ლაპარაკობს, არის რომის კეისრების. პავლე მოციქული რომის იმპერიაში ხედავს უპირველესად სამართლის ბატონობას, რომელიც მან თავადაც წარმატებით გამოიყენა. საყოველთაო სამართლის საქმეში ქრისტიანები სახელმწიფოს ემორჩილებიან. დიახ, პავლე მოციქული პირდაპირ „ღმერთის მსახურს“ უწოდებს არა ქრისტიანულ სახელმწიფოს, როდესაც ის იმ ქრისტიანებს, რომლებიც ბოროტებას სჩადიან, სჯის (რომ.13,1-7). ის ფაქტის მიუხედავად, რომ ქრისტიანები ისტორიაში ხშირად არაქრისტიანულად იქცეოდნენ, ქრისტიანმა, როცა ის დღეს სეკულარულ სახელმწიფოში ცხოვრობს, თავისი რწმენა არ უნდა გაამრუდოს.

რადა თქმა უნდა აქედან ავტომატურად გამომდინარეობს სახელმწიფოს და ეკლესიის გაყოფაც. როდესაც იესო ამბობს მიაგეთ კეისარს კეისრისა, მან იცის, რომ რომის კეისარი ქრისტიანი არ არის - ხოლო ღმერთს - ღმერთისა“ (მათე 22,21), ამით მას ებრაელთა ლოიალობა თავიანთი სახელმწიფოს მიმართ ავტომატურად არა ებრაულ სახელმწიფოებზე გადააქვს. ეკლესიისა და სახელმწიფოს გაყოფას ისეთი რელიგია

ესაჭიროება, რომელსაც ეს სურს. და გერმანულ ენოვან ქვეყნებს შეუძლიათ უხაროდეთ, რომ უმრავლესობის რელიგია ამ გაცოდის მომხრეა და არა მონინაარმდეგე.